ბიზნესის განწყობის ინდექსი

8.3
ზრდა

აწარმოე საქართველოში!

II კვ 2018

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
75	161

კვლევის ძირითადი შედეგები



- ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 2018 წლის მეორე კვარტალში გაიზარდა და 39.6 პუნქტი შეადგინა, რაც 8.3 პუნქტით აღემატება წინა კვარტლის მაჩვენებელს. გაუმჯობესებული ბიზნესის განწყობა ეხმიანება ზოგადად ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების გააქტიურებას (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის I კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 5.2% შეადგინა). ბიზნესის განწყობის ინდექსის გაუმჯობესება განპირობებულია როგორც მაღალი მოლოდინებით, ისე გასული სამი თვის განმავლობაში წარმატებული საქმიანობით. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესება ფიქსირდება თითქმის ყველა სექტორში. მრეწველობის სექტორმა ყველაზე დადებითად შეაფასა როგორც მიმდინარე საქმიანობა, ისე მოლოდინები, მაშინ როცა სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე პესიმისტურად არის განწობილი, რაც აღნიშნული დარგის სეზონურობით შეიძლება იყოს გამოწვეული.

- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას გვიჩვენებს, 2018 წლის მეორე კვარტალში 6.5 პუნქტით არის გაზრდილი.

- ბიზნესის ოპტიმიზმი მნიშვნელოვნად გაზრდილია, რომელმაც თავის ისტორიულ მაქსიმუმს 67.0 დონეზე მიაღწია. მრეწველობის სექტორთან ერთად, საცალო ვაჭრობამ და საფინანსო სექტორმა ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნეს სექტორის გაზრდილ ოპტიმიზმში.

- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი მცირედით გაზრდილია, თუმცა ისევ მაღალია გასული წლის მოლოდინებთან შედარებით. მშენებლობის სექტორი მომდევნო კვარტალში ფასების ზრდას მოელის, რაც მშენებლობის სექტორში დამატებით რეგულაციებთან არის დაკავშირებული.

- დიდი ზომის ბიზნესებთან შედარებით, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები ხასიათდება შედარებით მცირე ოპტიმიზმითა და სუსტი მიმდინარე მდგომარეობით. შედეგად, ბიზნესის განწყობის ინდექსი მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისათვის 4.5 პუნქტით შემცირდა.

- ბიზნესის ზომის მიუხედავად, გამოკითხული ბიზნესების უმეტესობა საკუთარი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორად კვლავ მოთხოვნის სიმცირესა და ფინანსებზე წვდომას ასახელებს.

მეთოდოლოგიის სანახავად, გადადით მომდევნო **ბმულზე**

BCI-ის მონაცემების სანახავად, გადადით მომდევნო **ბმულზე**

- -

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA